

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შპს ქართული კალათა

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	8

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- 1 ზოგადი ინფორმაცია
- 2 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა
- 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები
- 4 ძირითადი საშუალებები
- 5 არამატერიალური აქტივები
- 6 ფული და ფულის ექვივალენტები
- 7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- 8 მარაგები
- 9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები
- 10 საინვესტიციო ქონება
- 11 სესხები

12 საკუთარი კაპიტალი

13 მოგების გადასახადი

14 საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგი მოვლენები

15 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2	400550	380812
არამატერიალური აქტივები	5	83257	0
საინვესტიციო ქონება	10	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		483807	380812
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გატანაბრებული ინსტრუმენტები	6	57235	97488
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	235854	433615
მარაგები	8	255884	154756
წინასწარ გადახდილი გადასახადები		0	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		548973	685859
სულ აქტივები		904838	989293
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)		(606236)	(499876)
გადაფასების რეზერვი			
სულ კაპიტალი		(606236)	(499876)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	85248	149914
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		85248	149914
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	213354	327234
საგადასახადო ვალდებულებები		0	12269
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		213354	339503
სულ ვალდებულებები		298602	489417
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		904838	989293
დირექტორი: ვ.ელისაბედაშვილი			
მთავარი ბუღალტერი: ნ.ზოსტოდანაშვილი			



მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები		2280748	2355190
თვითღირებულება		(1258114)	(1504713)
საერთო მოგება		1022634	850477
სხვა შემოსავლები			
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(1617681)	(910253)
მიწოდების და მარკეტინგის დამახარჯები		0	0
სხვა ხარჯები		0	0
საოპერაციო მოგება		(595047)	(59776)
ფინანსური შემოსავალი			
ფინანსური ხარჯი		(14475)	(13811)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(609522)	(73587)
მოგება დაბეგვრამდე			
წმინდა მოგება		(609522)	(73587)
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასების რეზერვი			
მთლიანი სრული შემოსავალი		(609522)	(73587)
დირექტორი: ვ.ელისაბედაშვილი			



მთავარი ბუღალტერი: ნ.ბოსტოღანაშვილი



საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	(499876)	(499876)
წმინდა მოგება				
სხვა სრული შემოსავალი	-	-		
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-		
გაცემული დივიდენდი	-	-		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	(606236)	(606236)
წმინდა მოგება			(609522)	(609522)
სხვა				
სრული შემოსავალი	-	-		
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-		
გაცემული დივიდენდი	-	-		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		
2019 წლის 31 დეკემბერი			(606236)	(606236)

დირექტორი: ვ.ელისაბედაშვილი



მთავარი ბუღალტერი: ნ. ბოსტოლანაშვილი




წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(40253)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	14074
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის	0
სვალუტო კურსების ეფექტი	0
ფული და ფულის ექვივალენტი წლის დასაწყისში	97188
ფული და ფულის ექვივალენტი წლის ბოლოს	57235

დირექტორი: ვ.ელისაშვილი



მთავარი ბუღალტერი: ნ.ბოსტოღაშვილი



1 ზოგადი ინფორმაცია

კომპანია „ქართული კალათა“ დაარსდა 2015 წელს. დამფუძნებლები: ვალერიან ელისაბედასვილი (პ/ნ 01017013063) (34%-იანი წილის მფლობელი); გიორგი დარსალია (პ/ნ 01008001236) (33%-იანი წილის მფლობელი); და ლევან თითმერია (პ/ნ 01008016581) (33%-იანი წილის მფლობელი). მისი შექმნის მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ საქართველოში წარმოებული პროდუქტების რეალიზაცია, რომლებიც სასაჩუქრედ იყო შეფუთული. პირველ ეტეპზე იყიდებოდა ყველი და სხვა პროდუქტები რომელთა ჩამონათვალიც საკმაოდ მცირე იყო რამაც გვაიძულა თავად დაგვეწყო ფერმერების მოძიება, პროდუქტების შეკვეთა და საკუთარი ბრენდის ქვეშ გაერთიანება. 2016 წლიდან ჩვენი პროდუქტებით დაინტერესდა კომპანია რომელიც მართავს საქართველოს სამივე საერთაშორისო აეროპორტებში განთავსებულ მაღაზიებს. ამ კომპანიასთან წარმატებულმა თანამშრომლობამ დაგვარწმუნა საკუთარი წარმოების აუცილებლობაში. რომელიც მცირე მაშტაბით დავიწყეთ 2017 წლიდან. პარალელურად ყოველთვის გვყავდა სხვადასხვა ქვეყანაში ექსპორტით დაინტერესებული მომხმარებელი რისი დაკმაყოფილებაც ჩვენი წარმოებით შეუძლებელი იყო. დღესდღეობით მომავალი განვითარებისთვის აუცილებლად მიგვაჩნია წარმოების მაშტაბის გაზრდა, რაც საშუალებას მოგვცემს არსებულ გაყიდვებს საექსპორტო პოტენციალიც შევმატოთ. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში მუშაობს 25 თანამშრომელი. ამჟამად კომპანიას აქვს ერთი მაღაზია ქ. თბილისში ფხოვის ქ. # 1-ში.

2, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების სამჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შეაბამისად (შემდგომში მსს ფასს) რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული. ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის

გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური

აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შემენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში

მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) შენობები
20 წელი მანქანა დანადგარები 5-8 წელი საოფისე ავეჯი და ინვენტარი 5-8 წელი კომპიუტერული ტექნიკა 8 წელი ავტომობილები 0 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სამხატვრო დიზაინერულ პროექტს (5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო მეთოდით, საწყობების მიხედვით.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო

მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს: - გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით); - კანონმდებლობიდან; ან - სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და - შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას

და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი პერიოდი	დოლარი ევრო	
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

3, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

4. ძირითადი საშუალებები

0	3046	1228	0	1518	0	0	0	5792
საბალანსო ღირებულება								
2018 წლის ბოლოს								
0	34626	10250	0	13699	0	322225	0	380812
შესყიდვა 2019 წელს								
0	6744	4457	0	0	0	14836	0	26037
გასვლა 2019 წელს								
დაგროვილი ცვეთა								
0	8276	2557	0	1370	0	0	0	12203
საბალანსო ღირებულება								
2019 წლის ბოლოს								
0	39010	12150	0	12329	0	337061	0	400550

5, არამატერიალური აქტივები

ლარი				
2018 წლის ბოლოს	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
			0	0
დაგროვილი ამორტიზაციის ხარჯი				
2018 წლის ბოლოს			0	0
საბალანსო ღირებულებები				
2018 წლის ბოლოს			0	0
2019 წელს შემოსული			83257	83257
2019 წელს გასული			0	0
2019 წლის ბოლოს			83257	83257
საბალანსო ღირებულება			83257	83257

6, ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის წარმოდგენილია შემდეგნაირად

ლარში	31,12,2019	31,12,2018
ფული სალაროში	11738	38405
ფული საბანკო ანგარიშებზე	45497	59083
სულ	57235	97488

7, სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ლარში	31,12,2019	31,12,2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	235854	433615
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	0	0
სხვა მოთხოვნები	0	0
სულ	235854	433615

8, მარაგები

მარაგები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ლარში	31,12,2019	31,12,2018
მზაპროდუქცია	0	0
ნედლეული	0	0
დაუმთავრებელი წარმოება	0	0
საქონელი	94633	56695
სხვა მარაგები	33309	19834
სულ	127942	77378

9, სავაჭრო და მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და მოკლევადიანი ვალდებულებები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ლარში	31,12,2019	31,12,2018
სავაჭრო ვალდებულებები	146780	233090
გადასახდელი ხელფასები	0	0
გადასახდელი პეოცენტები	0	0
გადასახდელი დივიდენდები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ	146780	233090

10, საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება

რეალური ღირებულებით	31,12,2018	(499876)
მოგება (ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან		(73587)
რეალური ღირებულება	31,12,2019	(606236)

11, სესხები

ლარი	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31,12,2019	31,12,2018	31,12,2019	31,12,2018
ბანკის სესხები		0	85248	149914
დაკავშირებული მხარეების სესხები	0	0	0	0
ოფერდრაფტები				
სულ სესხები	0	0	85248	149914

მიღებულ სესხებში, მომხდარი ფულადი და არაფულადი ცვლილებები,

შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფულადი ნაკადები მომართა	ფინანსური	დამოკიდებული
	ინსტიტუტები	მხარეები

სესხის ძირის დაფარვა	0	0
სესხის აღება	0	0
პროცენტის დაფარვა	0	0
არაფულადი ნაკადების მოძრაობა	0	0
პროცენტის დაფარვა	0	0
გადაფასება	0	0
2019 წლის 31 დეკემბერი		

12 საკუთარი კაპიტალი

ლარში	31,12,2019	31,12,2018
საწესდებო კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	(606236)	(499876)
გადაფასების რეზერვი		
სულ	(606236)	(499876)

ამონაგები

ამონაგები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ლარი	31,12,2019	31,12,2018
მზა პროდუქციის რეალიზაცია	2280748	2355190
ნედლეულის რეალიზაცია	0	0
მომსახურების რეალიზაცია	0	0
სულ	2280748	2355190

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ლარი	31,12,2019	31,12,2018
------	------------	------------

ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	0	0
უსასყიდლოდ მიღებული მარაგები	0	0
კრედიტორული დავალიანების ჩამოწერიდან მიღებული შემოსავალი	0	
სულ	0	0

თვითღირებულება

თვითღირებულება 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ლარი	31,12,2019	31,12,2018
მზაპროდუქციის თვითღირებულება	1258114	1504713
ნედლეულის თვითღირებულება	0	0
მომსახურების თვითღირებულება	0	0
სულ	1258114	1504713

მიწოდებისა და მარკეტინგის დანახარჯები

მიწოდებისა და მარკეტინგის დანახარჯები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ლარი	31,12,2019	31,12,2018
საწვავის ხარჯი	7510	16014
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	11409	12659
რეალიზაციის დანახარჯი	0	0
სულ	18919	28673

სხვა ხარჯი

სხვა ხარჯები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ლარი	31,12,2019	31,12,2018
დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯი	0	0
მარაგების გაუფასურება	0	0
დაზღვევის ხარჯი	4800	4748
მზაპროდუქციის განადგურების ხარჯი	0	0
ჯარიმა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის	0	0

მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
კანონმდებლობის თანახმად ქონების გადასახადი	19303	18946

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ლარი	31,12,2019	31,12,2018
შრომის ანაზღაურება	398582	280225
ცვეთა და ამორტიზაცია	12203	5792
საგასახადო ხარჯი (ქონების გადასახადი)	19303	18946
საკონსულტაციო ხარჯი	0	0
რემონტის ხარჯი	6485	7388
ბანკის მომსახურება	6311	4729
წარმომადგენლობითი ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	243470	108256
მიწის ნაკვეთის ხარჯი	10585	3333
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	894706	477348
კომუნიკაციის ხარჯი	23718	4236
სულ	1617681	910253

ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ლარი	31,12,2019	31,12,2018
ბანკის სესხის პროცენტი	14475	13811
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი	0	0
სხვა ფინანსური ხარჯები	0	0
სულ	0	0

13 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ლარი	31,12,2019	31,12,2018
მიმდინარე მოგების ხარჯი	0	0
სულ	0	0

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ მიიღო ზარალი და შესაბამისად მოგების განაწილება და მოგების გადასახადის ვალდებულება არ დამდგარა.

14 საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. კომპანიამ 2020 წლის 16 მარტს რეგულაციებიდან გამომდინარე დროებით შეაჩერა მუშობა. კომპანიის გახსნა მოხერხდა მხოლოდ 2020 წლის ივნისში.

15 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, საწარმოს ხელმძღვანელობამ მოცემულ სატანდარტზე დაყრდნობით მოახდინა შეფასება საწარმოს მომავალი ფუნქციონირების შესახებ, საწარმოს აქვს უნარი მომავალ პერიოდში გააგრძელოს საქმიანობა, საწარმოს ლიკვიდაცია და შეჩერება არ არის მოსალოდნელი.